

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №-----

2018 წლის ---- მაისი

ქ. ოზურგეთი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტში  
დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის  
ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-6 პუნქტების, მე-4 მუხლის, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის და 12<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** შემოღებულ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი (შემდგომში „მოსაკრებელი“) დაგვა-დასუფთავების, ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, გაუვნებლების და ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მოვლა-პატრონობისათვის.

**მუხლი 2.** დამტკიცდეს მოსაკრებლის გადახდის თანდართული ინსტრუქცია და ფიზიკური პირებისათვის (გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა დანართი N1 შესაბამისად.

**მუხლი 3.** დამტკიცდეს დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისთვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა დანართი N2 შესაბამისად.

**მუხლი 4.** ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის N9 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) ვებგვერდი, 10/02/2015 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.113.016205);

2. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთების შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 ნოემბრის N35 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) ვებგვერდი, 12/11/2014 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 210070000.35.113.016216).

**მუხლი 5.** დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია

**დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის  
მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია**

**მუხლი 1. ზოგადი ნაწილი**

1. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია (შემდგომში – წესი) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და განსაზღვრავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის წესს.

2. ეს წესი აწესრიგებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსაკრებლის განაკვეთის დაწესების, გადახდის წესსა და მოსაკრებლის გადამხდელთა უფლება-მოვალეობებს.

3. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი (შემდგომში – მოსაკრებელი) წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი პირის (სამსახურის) მეშვეობით დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გაწეული მომსახურებისათვის გათვალისწინებულ აუცილებელ გადასახდელს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

4. ნარჩენების წარმომქმნელი ვალდებულია მოსაკრებელი გადაიხადოს დადგენილ ვადებში.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული, მოსაკრებლის ამოსაღებად, იურიდიულ პირებთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, მოსაკრებელი გადაიხდება ამ წესის მიხედვით.

**მუხლი 2. მოსაკრებლის გადამხდელი**

მოსაკრებლის გადამხდელი არის ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნის საყოფაცხოვრებო ნარჩენებს.

**მუხლი 3. მოსაკრებლის განაკვეთი, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი**

1. მოსაკრებლის განაკვეთი წესდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისათვის კალენდარული წლისათვის საჭირო ხარჯების შესაბამისად.

2. მოსაკრებლის ოდენობა ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე განისაზღვროს 24 (ოცდაოთხი) ლარი და 37 თეთრი.

3. ერთსულ მოსახლეზე მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს 0.85 ლარით თვეში. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით.

4. დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს დანართი 2-ის შესაბამისად.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი (შემდეგში ქვითარი) გამოიწერება იმ უძრავი ქონების მესაკუთრეზე (შემდეგში – მესაკუთრე), რომლის საკუთრებაშიც წამოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

6. მოსაკრებლის გადახდის ქვითარი ორგანიზაციების, იურიდიული პირებისათვის, ინდივიდუალური მეწარმისა და დაწესებულებებისათვის გამოიწერება იმ ორგანიზაციის, დაწესებულების, ინდივიდუალური მეწარმისა და იურიდიული პირის სახელზე, რომლის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

7. ნარჩენების წარმომქმნელი ფიზიკური პირების რაოდენობის შეცვლის შემთხვევაში მიმდინარე თვის მოსაკრებელი იფარება ცვლილების გაუთვალისწინებლად.

8. მესაკუთრის მოიჯარის ან მოსარგებლის შეცვლის შემთხვევაში ყოფილმა მესაკუთრემ, მოიჯარემ ან მოსარგებლემ მოსაკრებლის მიმდინარე დავალიანება უნდა დაფაროს იმ თვის ბოლომდე, რომელშიც მოხდა საკუთრების გადაცემა/დაბრუნება.

#### **მუხლი 4. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების წარმოქმნა, შეცვლა და მისგან გათავისუფლება**

1. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება ფიზიკური პირებისათვის (გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა) – მომსახურების ერთი თვის განმავლობაში მიღების შემთხვევაში. ორგანიზაციების, დაწესებულებების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის – მომსახურების მიღებისთანავე.

2. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წყდება ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის შეწყვეტისთანავე.

4. არ დაერიცხება დასუფთავების მოსაკრებელი საწარმოო ობიექტებისა და ორგანიზაციების შენობა-ნაგებობების ფართს ან მათ ნაწილს, ღია ტერიტორიების ფართს ან მათ ნაწილს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ ფუნქციონირებს, გამოუყენებელია და არ წარმოიქმნება ნარჩენი. ასევე არ დაერიცხება დასუფთავების მოსაკრებელი ინფრასტრუქტურის ფართზე (დამხმარე სამეურნეო ნაგებობა, ავტოსადგომები, შიდა ბიბლიოთეკები, საქვაბე, შიდა მომსახურებისათვის სამრეცხაო, სასადილო, სკვერები, საკონფერენციო დარბაზები). სპეციალიზირებულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს გრაფიკით, აღსაზრდელთა და მოსწავლეთა რაოდენობა იანგარიშება საერთო სიის მიხედვით, ხოლო სტუდენტებზე კი სტატუსის (აქტიური) გათვალისწინებით.

5. უფლებამოსილი პირის (სამსახურის) მიერ მომსახურების ორგანიზების ერთ თვეზე მეტი ხნით შეწყვეტის შემთხვევაში, მოსაკრებლის გადამხდელის მოთხოვნით გადასახდელი თანხა შესაძლებელია შემცირდეს ამ პერიოდში გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობით.

6. უფლებამოსილი პირის (სამსახურის) მიერ გაწეული მომსახურების ორგანიზების შეფერხების, შეზღუდვის, დაგვიანების, აგრეთვე მომსახურების ერთ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში შეწყვეტის შემთხვევაში მოსაკრებლის გადამხდელს არ აქვს უფლება მოითხოვოს მოსაკრებლის განაკვეთის გადახდისაგან გათავისუფლება ან მისი განაკვეთის შემცირება.

#### **მუხლი 5. მოსაკრებლის ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი**

1. მოსაკრებელი მთლიანად ჩარიცხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

2. მუნიციპალიტეტის ორგანოს საამისოდ უფლებამოსილ სამსახურს მოსაკრებლის დავალიანების ამოღების მიზნით უფლება აქვს შესაბამის იურიდიულ პირთან გააფორმოს შეთანხმება.

#### **მუხლი 6. მოსაკრებლის გადახდის პერიოდულობა და ვადები**

1. მოსაკრებლის გადახდა წარმოებს შესაბამის ანგარიშზე ქვითრის ან ელექტონული ანგარიშსწორების საშუალებით.

2. ქვითრის სავალდებულო რეკვიზიტებია:

ა) მოსაკრებლის გადამხდელი;

ბ) მოსაკრებლის გადამხდელის მონაცემები;

გ) გადასახდელი თანხა;

დ) გადახდის ვადა.

3. მოსაკრებლის დარიცხვა ხდება კალენდარული თვის ბოლო დღის მდგომარეობით, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს არაუგვიანეს მომდევნო თვის 20 რიცხვის ჩათვლით.

4. გადამხდელს შეუძლია მოსაკრებელი გადაიხადოს წინასწარ.

5. დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ინდივიდუალურ მეწარმეებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელთაც დასუფთავების მოსაკრებელი დაერიცხათ მომსახურების მიღების მთელს პერიოდზე, მაგრამ არანაკლებ ორი თვისა, მიეცეთ უფლება მომსახურების მიღების მთელს პერიოდზე დარიცხული მოსაკრებლის (მოსაკრებლის მიმდინარე ყოველთვიურ დარიცხვასთან ერთად) დავალიანება დაფარონ მოსაკრებლის დარიცხვიდან არაუმეტეს 12 თვის ვადაში.

6. ფიზიკურ პირებს (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა), რომელთაც გააჩნიათ დარიცხული დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანება, მიეცეთ უფლება აღნიშნული (მოსაკრებლის მიმდინარე ყოველთვიურ დარიცხვასთან ერთად) დავალიანება დაფარონ ეტაპობრივად არაუმეტეს 12 თვის ვადაში.

**მუხლი 7. პასუხისმგებლობა მოსაკრებლის გადახდევინებისათვის**

მოსაკრებლების გადახდევინებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება უფლებამოსილ სამსახურს ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირს.

დანართი 2

**დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისთვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი**

№	დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები	ზომის ერთეული	ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა მ <sup>3</sup>	მოსაკრებლის ოდენობა თვეში ზომის ერთეულზე
1	2	3	4	5
1	მუზეუმები, ბიბლიოთეკები, გალერიები, არქივები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,022	0,044
2	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,080	0,162
3	კინოთეატრები და თეატრები, საკონცერტო დარბაზები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0,331	0,672
4	მოხუცებულთა და ბავშვთა სახლები (თავშესაფარი), უმწეოთათვის უფასო სასადილოები	მომსახურების ერთეული ადგილი	0,128	0,259
5	სკოლები, კოლეჯები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საგანმანათლებლო დაწესებულებები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთ მოსწავლეზე, აღსაზრდელზე	0,198	0,402
6	სასტუმროები და სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლები	მომსახურების ერთეული (ერთი საწოლი)	1,720	3,490
7	საავადმყოფოები და სამშობიარო სახლები	მომსახურების ერთეული ერთი საწოლი	1,157	2,349
8	პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმების, სტომატოლოგიური და სამედიცინო კაბინეტები	საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,160	0,324
9	სტადიონები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები და მანქები, საჯინიბოები, კორტები (სატურნირო და სავარჯიშო მოედნების გარდა)	ღია საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,020	0,040
		დახურული საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,080	0,162
10	სასურსათო საქონლის მაღაზიები (სავაჭრო დარბაზი)	სამუშაო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,760	1,540

11	სამრეწველო საქონლის მაღაზიები, აფთიაქები, საიუველირო, ანტიკვარიატის მაღაზიები, ზოომაღაზიები (სავაჭრო დარბაზი), ვეტერინარული ცენტრები	სამუშაო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,250	0,507
12	აგრარული ბაზრები, ყვავილების ღია და დახურული მაღაზიები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,300	0,609
13	შერეული საქონლის ბაზრობები (მათ შორის შინაურ ცხოველთა და ფრინველთა ბაზრობები), საბითუმო ვაჭრობის საწყობები და მაცივრები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,210	0,426
14	ავტოსადგომები და საწყობები პირდაპირი მიყიდვის გარეშე (გარდა საცავებისა პროდუქციის ხანგრძლივი შენახვის დროით)	ღია საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,020	0,040
		დახურული საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,080	0,162
15	ავტოგასამართი სადგურები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,080	0,162
16	სატრანსპორტო საშუალებების საჩვენებელი და გასაყიდი ნაგებობები, სანერგე მეურნეობები და სათბურები, ფერმები, სასაკლაოები	ღია საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,040	0,081
		დახურული საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,080	0,162
17	სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო და სამრეცხაო სადგურები, ტექ.მომსახურების ადგილები, შავი და ფერდი ლითონების მიმღები პუნქტები	ღია საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,020	0,040
		დახურული საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,140	0,284
18	აბანოები, საუნები და საცურაო აუზები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,180	0,365
19	სადალაქოები, სილამაზის სალონები და კოსმეტოლოგიის და ესთეტიკის ცენტრები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,350	0,710
20	მცირე სამეწარმეო საქმიანობა შენობის შიგნით მიმდინარე წარმოებისას საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,250	0,507
21	რესტორნები, პიცერიები, სასადილოები, /გარდა უმწეოთათვის უფასო სასადილოებისა/ კაფეები და ბარები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	2,400	4,874
22	საბანკეტო დარბაზები, სარიტუალო მომსახურებისათვის	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0,960	1,949
23	საცხოვრები, საოჯახო სამზარეულოები (დასაჯდომი ადგილების გარეშე)	სამუშაო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,26	0,528
24	ტოტალიზატორები, სათამაშო და გასართობი ცენტრები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,36	0,731
25	ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები	ღია საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,008	0,016
		დახურული საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,080	0,162
26	ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბალები, ატრაქციონები, მდინარეებზე, ტბებზე და ზღვაზე არსებული კერძო ან სარგებლობის	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,008	0,016

	უფლებით გაცემული სანაპირო ზოლები			
27	სამხედრო ნაწილები და პენიტენციარული სისტემები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთი ადგილი	0,6	1,218
28	საწარმო ობიექტების ღია ტერიტორიები, სადაც მიმდინარეობს საწარმო პროცესი	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,008	0,016
29	სერიული პროდუქციის საწარმოების შენობა-ნაგებობები (საწარმო ნარჩენების გარდა)	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0,040	0,081

ერთი თვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისთვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის

$$მ = გ \times X \text{ რ.}$$

მ - ერთი თვის მოსაკრებელი დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისთვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის. (ლარი);

გ - მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი);

რ - ზომის ერთეულის ფაქტობრივი რაოდენობა (შესაბამისი ფართი, ადგილი, საწოლი და ა.შ.).

## განმარტებითი ბარათი

### „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

#### 1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

2. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტი და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-6 პუნქტები, მე-4 მუხლი, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი და 12<sup>1</sup> მუხლი და ადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობებს და მისი გადახდის ინსტრუქციას

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ორგანულ კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ცვლილების შეტანის შესახებ“ (ვებგვერდი, 29/07/2017 სარეგისტრაციო კოდი 010250000.04.001.016203) მე-2 მუხლის მე-5 ნაწილთან, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6 თვის ვადაში უნდა უზრუნველყონ ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

3. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

4. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2018 წლის 25 მაისი.